

საერთაშორისო მედიაციის განმსაზღვრელი ფაქტორები
Case Study- საქართველო, ქენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები

ზაურ ნაცვლიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა,
კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზაურ ნაცვლიშვილი

_____ 23.12.2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო მედიაციის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასებას. ნაშრომი წარმოადგენს კვლევით პროექტს. კვლევას საფუძვლად უდევს სამი ჰიპოთეზა: პირველი - *მესამე მხარე თუ მეზობელი გავლენიანი სახელმწიფოა შესაძლოა იყოს ეფექტური მედიატორი ქვეყნის შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის არ იქნება ტენდენციური და დაინტერესებული პირადი სარგებლით*. ჰიპოთეზა მეორე- *კომპლექსური მედიაციის დროს საერთაშორისო ორგანიზაციას ან ორგანიზაციები არიან ეფექტური მედიატორები*. მესამე - *მედიაცია შეიძლება იყოს ეფექტური მხოლოდ მაშინ თუ ნათელია ვინ არიან კონფლიქტის მხარეები*. მედიაციის ფაქტორების შესაფასებლად შექმნილია საკვლევო ჩარჩო რომელიც განიხილავს მედიაციის ლიტერატურაში არსებულ საერთაშორისო მედიაციის შესაფასებელ ძირითად ცვლადებს, შესწავლილია ორი ქეისი - საქართველოს შიდა კონფლიქტის მიმართ სეპარატისტულ რეგიონთან, აფხაზეთთან და მისი დარეგულირების მცდელობები, და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად შექმნილი სამედიაციო პლატფორმა „ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები“. ქეისები ეფუძნება ინტერნეტწყაროებში და სხვადასხვა ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მასალებს, კვლევაში გამოყენებულია ინტერვიუები „ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების“ მონაწილე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებთან. კვლევა კონკრეტულ ქეიებზე დაყრდნობით აჩვენებს რომ მედიაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური როდესაც ნათელია თუ ვინ არიან კონფლიქტის მხარეები, კვლევის საფუძველზე მტკიცდება რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ არიან ეფექტურები კონფლიქტის მოგვარებაში როცა კონფლიქტი ცივ ფაზაშია. ბოლოს - კვლევიდან ჩანს რომ მესამე მხარე თუ გავლენიანი სახელმწიფოა თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქვს საკმარისი ბერკეტები იყოს ეფექტური შუამავლი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ იქნება დაინტერესებული კონფლიქტიდან პირადი სარგებლით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო მედიაცია, კონფლიქტის გადაწყვეტა, საქართველო, აფხაზეთი, „ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები“